

**განმარტებითი ბარათი**  
**საქართველოს კანონის პროექტზე**  
**„პროფესიული განათლების შესახებ“**

**ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ**

**ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:**

2013 წელს, დაინტერესებული მხარეების ჩართულობით შემუშავდა საქართველოს პროფესიული განათლების რეფორმის (2013-2020 წლებისათვის) სტრატეგია, რომლის დამტკიცებითაც (საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2013 წლის 26 დეკემბრის N300 ბრძანება) დაიწყო პროფესიული განათლების სფეროს განვითარების ახალი ეტაპი. სტრატეგიაში ასახულია საქართველოს მთავრობის სოციალურ-ეკონომიკური პრიორიტეტები და ჩამოყალიბებულია მიზნები, რომელთა განხორციელებამ, კონკრეტული სამოქმედო გეგმის მიხედვით, ხელი უნდა შეუწყოს ადამიანური რესურსების მდგრად განვითარებას (შესაძლებლობებისა და პოტენციალის განვითარებას, დასაქმების თუ თვითდასაქმების, თვითრეალიზების შესაძლებლობას) და შრომის ბაზრის ამჟამინდელი თუ სამომავლო მოთხოვნების დაკმაყოფილებით ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებასა და სიღარიბის შემცირებას.

პროფესიულ განათლებასთან მიმართებაში ახალი სახელმწიფო პოლიტიკისა და რეფორმის სტრატეგიის განხორციელებისათვის საჭიროა მყარი სამართლებრივი საფუძვლების შექმნა, რაც პირველ რიგში, „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის ახალი რედაქციის შემუშავებით არის შესაძლებელი. ახალი კანონის შემუშავება (და არა არსებულ კანონში ცვლილებების განხორციელება) ნაკარნახევია იმ გარემოებით, რომ შემოთავაზებული ცვლილებები ვრცელდება მოქმედი კანონის მნიშვნელოვან ნაწილზე და ამასთანავე, გვთავაზობს ახალ მიდგომებსა და პრინციპებს მთელ რიგ საკითხებთან მიმართებაში. ამდენად, კანონპროექტში წარმოდგენილია არსებული „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მრავალმხრივი ანალიზის საფუძველზე ჩამოყალიბებული ხედვა და მოიცავს სფეროსთან დაკავშირებულ ყველა საკვანძო საკითხს, ამასთანავე, გამოკვეთს პრობლემებსა და გამოწვევებს და ქმნის საფუძველს ამ პრობლემათა გადაჭრისათვის საჭირო სამართლებრივი ნორმების ჩამოსაყალიბებლად.

**ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:**

კანონპროექტის მიზანია ქვეყნის პროფესიული განათლების სისტემის განვითარებისა და პროფესიული განათლების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების ხელშეწყობა. კერძოდ,

- ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა;
- სოციალური ინკლუზიის, ინდივიდის პიროვნული და პროფესიული განვითარების ხელშეწყობა;
- მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის ხელშეწყობა;
- საქართველოს პროფესიული განათლების სისტემის ერთიან ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან დაახლოება და თავსებადობა.

აღნიშნული მიზნების მისაღწევად კანონი განსაზღვრავს სახელმწიფოს პასუხისმგებლობებს პროფესიული განათლების სფეროში და ხაზს უსვამს სწავლება-სწავლის მრავალფეროვანი ფორმების (სამუშაოზე დაფუძნებული სწავლება და სხვა) და ინოვაციური მიდგომების შეთავაზებას, ტექნოლოგიური განვითარების გათვალისწინებით; პროფესიული განათლების ზოგად და უმაღლეს განათლებასთან კავშირის უზრუნველყოფასა და პროფესიული განათლების სისტემის მოქნილობას; პროფესიული განათლების მორგებას შრომის ბაზრის არსებულ და სამომავლო მოთხოვნებთან და პირის მომზადებას დასაქმებისა და სამეწარმეო საქმიანობისათვის; ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს განვითარებას, არაფორმალური განათლების აღიარების მექანიზმების შექმნას, კრედიტების დაგროვებისა და ტრანსფერის სისტემის განვითარებას; პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე მექანიზმების განვითარებას; შრომის ბაზარზე პირის კონკურენტუნარიანობის ხელშეწყობას პროფესიული მომზადებისა და გადამზადების გზით; პროფესიული განათლების სფეროში სოციალური პარტნიორობის ხელშეწყობას; ფორმალურ

განათლებაში პროფესიული ორიენტაციის, კონსულტირებისა და კარიერის დაგეგმვის სისტემის განვითარებას; პროფესიული განათლების მასწავლებლის მომზადების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სისტემის ჩამოყალიბებას; პროფესიულ სტუდენტთა და პროფესიული განათლების მასწავლებელთა მობილობის ხელშეწყობას; საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებასა და დანერგვას.

#### **ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:**

პროფესიული განათლების ფუნქცია, რომელიც შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად კონკურენტუნარიანი სამუშაო ძალის განვითარებასთან არის დაკავშირებული, უმნიშვნელოვანეს ადგილს იკავებს ყველა დემოკრატიული და განვითარებული ქვეყნის ხელისუფლების პოლიტიკაში. თუმცა ამ მიზნით სფეროს სხვა მიზნების გადაფარვა პროფესიულ განათლებას ვიწრო საზღვრებში კეტავს და არ აღიარებს მის ფართო შესაძლებლობებს. თანამედროვე სამყაროში პროფესიული განათლება ასევე მნიშვნელოვან როლს ასრულებს სოციალური ინკლუზიისა და ადამიანების პიროვნული განვითარების საქმეში. კანონპროექტი ეფუძნება პროფესიული განათლების, როგორც ადამიანის უფლების იდეას და თანაბრად მოიცავს ეკონომიკურ, სოციალურ და პიროვნულ ასპექტებს. ამავე დროს, კანონპროექტის მიზნები სრულად პასუხობს სფეროს ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან შესაბამისობაში მოყვანისა და ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტებს.

„პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედი რედაქციის მე-7 მუხლის თანახმად, „პირს, ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის დაძლევის, პროფესიული ტესტირების ჩაბარებისა და პროფესიის სპეციფიკიდან გამომდინარე, პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებული დამატებითი მოთხოვნების დაკმაყოფილების საფუძველზე, უფლება აქვს, მიიღოს პროფესიული განათლება პროფესიული საქმიანობისათვის აუცილებელი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების შესაძენად. პროფესიული განათლების მიღების უფლების რეალიზების მიზნით პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია შესაბამისი დარგის დამსაქმებლების მონაწილეობით გამართოს კონსულტაციები პროფესიული განათლებით დაინტერესებულ პირებთან პროფესიული განათლების მიღების შესაძლებლობების, მომავალი პროფესიული საქმიანობისა და დასაქმების პირობების შესახებ“. აღნიშნული მუხლით უფლებაზე მეტად წარმოდგენილია შეზღუდვები და წინაპირობები, რაც დამაბრკოლებელ გარემოებას ქმნის პროფესიული განათლების ინკლუზიურობის უზრუნველსაყოფად. კერძოდ, მიუხედავად იმისა, რომ საბაზო განათლება საქართველოში სავალდებულოა და ერთი შეხედვით, პროფესიული განათლების მისაღებად საბაზო განათლების ფლობა მინიმალურ მოთხოვნას წარმოადგენს, პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ კანონის ამ ჩანაწერით დავიწროვებულია იმ პირთა წრე, რომლებსაც უფლება ეძლევათ მიიღონ პროფესიული განათლება. ასევე, დავიწროვებულია თავად პროფესიული განათლების ცნებაც. კანონის თანახმად, პროფესიული განათლების მიღება შესაძლებელია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მეშვეობით, რომელიც ორიენტირებულია პრაქტიკული ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების გამომუშავებაზე და სრულდება შესაბამისი საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებითა და მისი დამადასტურებელი პროფესიული დიპლომის გაცემით. ამდენად, მოქმედი კანონმდებლობით, პროფესიული განათლება იცნობს მხოლოდ იმ საგანმანათლებლო პროგრამებს, რომლებიც პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებით სრულდება და არ აღიარებს პროფესიული მომზადების, გადამზადების, ცალკეული კომპეტენციების გამომუშავებაზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პროგრამების/მოდულების არსებობას. რეალურად, კანონი არ იძლევა იმ მრავალფეროვანი შესაძლებლობების განხორციელების საშუალებას, რისი შეთავაზებაც პროფესიული განათლების სფეროს შეუძლია.

კანონის პროექტი ცვლის ზემოთაღნიშნულ მიდგომას და გზას უხსნის მრავალფეროვანი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებას, რომელთა მიზანი ერთ შემთხვევაში შეიძლება იყოს

კვალიფიკაციის მინიჭება, ხოლო მეორე შემთხვევაში - ცალკეული კომპეტენციების განვითარება, ცოდნის გაღრმავება, გადამზადება და სხვ.

კანონპროექტი მკაფიოდ განსაზღვრავს, რომ ყველას აქვს უფლება, ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ისარგებლოს პროფესიული განათლების მიღების უფლებით. დეკლარირება იმისა, რომ „ყველას აქვს პროფესიული განათლების მიღების უფლება“, საფუძველს უქმნის ამ უფლების რეალიზების, სისტემის მოქნილობისა და შესაძლებლობათა გაფართოებისათვის მიზანმიმართული პოლიტიკის განხორციელებას. აღნიშნული მიდგომა არ გამოიციხავს სპეციფიკური საკითხების გათვალისწინებას (მაგ. ცალკეულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ასაკობრივ შეზღუდვას, რიგ შემთხვევებში სრული ზოგადი განათლების ატესტატის ფლობის ვალდებულებას და ა.შ) და იძლევა პროფესიის სპეციფიკიდან გამომდინარე გარკვეული შეზღუდვების დაწესების შესაძლებლობას.

აღსანიშნავია, რომ მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, საქართველოში არსებობს პროფესიული განათლების ორი სახე: ფორმალური პროფესიული განათლება და არაფორმალური პროფესიული განათლება. ფორმალური პროფესიული განათლების მიღება ხდება პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მეშვეობით. კანონის თანახმად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს თეორიულ სწავლებას, სასწავლო ან/და საწარმოო პრაქტიკას და სრულდება პროფესიული განათლების შესაბამისი საფეხურის კვალიფიკაციის დამადასტურებელი პროფესიული დიპლომის გაცემით. მნიშვნელოვანია, რომ კანონპროექტი გზას უხსნის ფორმალური განათლების ფართო შესაძლებლობების განხორციელებას და არ ზღუდავს მას მხოლოდ კვალიფიკაციის მისანიჭებელი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებით.

ფორმალური განათლება არის მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის სისტემის ნაწილი, რაც გულისხმობს „ცოდნა და გაცნობიერების“, „უნარის“, „პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის“ შექმნას და აღნიშნულის დადასტურებას სახელმწიფოს მიერ აღიარებული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტით. კანონპროექტი ითვალისწინებს ფორმალური პროფესიული განათლების სფეროში მრავალფეროვანი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებას, რომელთა ფარგლებში მიღებული ცოდნის დადასტურებაც ყოველთვის არ იქნება დაკავშირებული შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭებასთან. მოქნილი, დიფერენცირებული, მრავალფეროვანი საგანმანათლებლო პროგრამები ხელმისაწვდომი იქნება ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის (მაგალითად, უკვე დასაქმებული პირებისათვის, რომლებსაც სამუშაო სპეციფიკიდან გამომდინარე, სურვილი აქვთ მიიღონ ცალკეული მოდულით გათვალისწინებული კომპეტენციები). ამასთან პროფესიული განათლება გზას გაუხსნის ფორმალური განათლების მიღმა დარჩენილ, ასევე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე იმ პირებს, რომლებმაც ვერ შეძლეს საბაზო განათლების ატესტატის მიღება, მაგრამ შესწევთ უნარი, გამოიმუშაონ ცალკეული პროფესიული კომპეტენციები (კვალიფიკაციის ჩარჩოს მეორე დონის შესაბამის კურსებზე).

არაფორმალური განათლება ხორციელდება ფორმალური საგანმანათლებლო სისტემის გარეთ. ის მოიცავს ზრდასრულთა განათლებას, სამუშაო ადგილზე მიმდინარე საგანმანათლებლო პროგრამებს, ონლაინ და დისტანციურ სწავლებას ან სათემო დონეზე ორგანიზებულ კურსებს, რომელსაც ახორციელებენ სხვადასხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები, მათ შორის არასამთავრობო ორგანიზაციებიც. ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში არსებობს ინფორმალური (informal) განათლების ცნებაც, რომელიც წარმოადგენს არაორგანიზებულ და არასტრუქტურირებულ განათლებას, ცოდნისა და უნარების შექმნას მიზანმიმართულად ან პიროვნებისაგან გაუცნობიერებლად, ცხოვრების მანძილზე ან მუშაობის ან თვით-სწავლების პროცესში. ბევრ ენაში, მათ შორის ქართულშიც, ხშირად, ამ ტერმინებს შორის განსხვავება ბუნდოვანია. მოქმედი კანონმდებლობა არაფორმალურ და ინფორმალურ პროფესიულ განათლებას აერთიანებს არაფორმალური პროფესიული განათლების ტერმინში და განმარტავს, რომ არაფორმალურია პროფესიული განათლება, რომელიც პირმა მიიღო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებისაგან დამოუკიდებლად. მოცემულ ეტაპზე

მიზანშეწონილია, რომ შენარჩუნდეს აღნიშნული მიდგომა, თუმცა კანონპროექტი ტერმინის უფრო დაზუსტებულ განმარტებას გვთავაზობს. არაფორმალური და ინფორმალური განათლების აღიარების საერთო პრინციპები და არაფორმალური განათლების ევროპული სახელმძღვანელო, აღიარებას შემდეგნაირად განმარტავს: კომპეტენტური ორგანოს მიერ იმის დამტკიცება, რომ პირის მიერ ფორმალურ, არაფორმალურ თუ ინფორმალურ გარემოში შექმნილი სწავლის შედეგები (ცოდნა, უნარები და კომპეტენციები) შეფასდა წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების საფუძველზე და ისინი აკმაყოფილებს აღიარების/ვალიდაციის სტანდარტებს. აღიარება, ჩვეულებრივ, დასტურდება სერტიფიკატით. მნიშვნელოვანია, რომ კანონპროექტით განსაზღვრულია, როგორც არაფორმალური განათლების აღიარების, ასევე ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების შესაძლებლობას, ასევე პროფესიული კრედიტების დაგროვების, ტრანსფერისა და აღიარების სისტემის განსაზღვრის ვალდებულებას.

მოქმედი კანონისა და ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს თანახმად, საქართველოში არსებობს პროფესიული განათლების ხუთი საფეხურის კვალიფიკაცია. პროფესიული განათლების თითოეული საფეხურის დასრულების შემდეგ გაიცემა პროფესიული დიპლომი. პროფესიული განათლების თითოეული საფეხურის გავლის საფუძველია წინა საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ათვისება ან წინა საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების აღიარება. კონკრეტული პროფესიული განათლების საფეხურები განისაზღვრება პროფესიული სტანდარტით, რომელიც მოიცავს პროფესიული განათლების საფეხურებიდან ერთ-ერთს, რამდენიმეს ან ყველას. აღნიშნული მიდგომა ეფუძნება ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოს. არსებული ჩარჩო წარმოადგენს განათლების სისტემის სამი ძირითადი ქვესისტემის (ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლება) კვალიფიკაციათა ჩარჩოების ნაერთს. პროფესიული განათლების საფეხურებთან არის დაკავშირებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ტიპები - პროფესიული კოლეჯი და საზოგადოებრივი კოლეჯი. პროფესიული კოლეჯი ახორციელებს მხოლოდ პირველი სამი საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს; ხოლო საზოგადოებრივი კოლეჯი ახორციელებს ყველა საფეხურის (ხუთივე) პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს, აგრეთვე მოსამზადებელ ზოგადსაგანმანათლებლო, ქართული ენისა და ლიბერალური განათლების საგანმანათლებლო პროგრამებს.

პროფესიული კვალიფიკაციების საფეხურებად „ჩაშლის“ მიდგომა (რომელიც სისტემაში 2010 წლიდან დაინერგა) დამახინჯელი აღმოჩნდა, როგორც პროფესიული განათლების მსურველებისთვის, ასევე დამსაქმებლებისათვის. 2013 წელს დაიწყო მუშაობა სისტემის გამარტივებაზე. ამასთან, 2014 წელს ევროკავშირთან გაფორმებული ასოცირების შეთანხმებით, გათვალისწინებულ იქნა ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან შესაბამისობაში მოყვანის საკითხი. აღსანიშნავია, რომ განათლების ევროპული კონტექსტი პირველყოვლისა გულისხმობს იმ საერთო ევროპულ მიდგომებს, რომელთა ჩამოყალიბებითაც ევროპის სივრცეში მყოფმა ქვეყნებმა შექმნეს ურთიერთთავსებადი განათლების სისტემები. ამის უმთავრესი ინსტრუმენტია სწორედ ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩო, რომელიც ფორმალურად ძალაში შევიდა 2008 წელს, ევროპული პარლამენტისა და საბჭოს მიერ დამტკიცების შემდეგ. ჩარჩოს მთავარი მიზანია:

- > ხელი შეუწყოს მობილობას ქვეყნებს შორის;
- > ხელი შეუწყოს მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლას.

ჩარჩო შემუშავდა, როგორც „მთარგმნელობითი ინსტრუმენტი“. ამ ფუნქციის შესასრულებლად შემუშავდა EQF-LLL-თან მიმართებაში ეროვნული ჩარჩოს “რეფერენსირების” წესი და პროცედურა. ევროკავშირის წევრი ქვეყნების კვალიფიკაციების ჩარჩოები 2010 წლიდან “რეფერენსირებულია” ევროპული ჩარჩოს დონეებთან მიმართებაში, რაც ნიშნავს რომ ეროვნული კვალიფიკაციები განთავსებულია EQF-LLL-ის შესაბამის დონეებზე. ეს მექანიზმი ევროპის სხვადასხვა ქვეყნის კვალიფიკაციების ურთიერთშედარების, მათი დონისა და სწავლის შედეგების გაგების საშუალებას იძლევა. მიხედვად იმისა, რომ ევროკავშირის წევრ ქვეყნებს განსხვავებული განათლების სისტემები

აქვთ, „რეფერენსირების“ მეშვეობით მარტივად დგინდება მათი მიმართება კვალიფიკაციების ევროპულ ჩარჩოსთან. ამდენად, ევროპული საკვალიფიკაციო ჩარჩო (EQF) უზრუნველყოფს, რომ კვალიფიკაციები გახდეს ადვილად აღსაქმელი და გასაგები ევროპულ სივრცეში სხვადასხვა ქვეყნებისა და სისტემებისათვის, ასევე იძლევა ერთი ქვეყნის ეროვნული კვალიფიკაციების შედარების საშუალებას მეორე ქვეყნის ეროვნულ კვალიფიკაციებთან.

ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩოს ბირთვს წარმოადგენს 8 საკვალიფიკაციო დონე, რომელიც აღწერილია სწავლის შედეგების მეშვეობით. კვალიფიკაციების ჩარჩოს ძირითადი სტრუქტურული ერთეული - „დონე“ არ არის მიბმული განათლების ფორმალურ სისტემაზე. „დონე“ სისტემისგან დამოუკიდებლად აღწერს სწავლის შედეგებს. EQF-LLL-ის დოკუმენტის თანახმად კვალიფიკაციის თითოეული დონე შეიძლება მიღწეულ იქნეს სხვადასხვა საგანმანათლებლო და კარიერული გზით.

2014 წელს გაანალიზდა ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო<sup>1</sup> ევროპულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან მიმართებით (ასევე სხვადასხვა ქვეყნების ჩარჩოებთან მიმართებით), იდენტიფიცირდა ხარვეზები და დაიგეგმა ჩარჩოს შემდგომი განვითარების პროცესი. რამდენიმეწლიანი მუშაობის საფუძველზე, შეიქმნა ჩარჩოს ახალი პროექტი, რომელიც შესაბამისობაშია ევროპულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან. ახალი ჩარჩოს მიღება ძირითადად უკავშირდება პროფესიული განათლების რეფორმირებას, რადგან სწორედ პროფესიული განათლებაა განათლების ის ქვესისტემა, რომელიც ყველაზე დიდ როლს თამაშობს მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის პრინციპის განხორციელებაში.

კანონპროექტით გათვალისწინებული ტერმინების განმარტებები შესაბამისობაშია ევროპის დონეზე აღიარებულ ტერმინებთან (CEDEFOP, EQF-LLL). ამასთან, სოცირების შეთანხმების პირობების შესრულების მიზნით, კანონპროექტი ითვალისწინებს პროფესიულ განათლებაში სერტიფიკატისა და დიპლომის დანართებს (ევროპასის შესაბამისად).

დღეს არსებული ჩარჩოს ყველაზე დიდი ხარვეზი სისტემის „ჩიხებია“ და ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან შესაბამისობის მოყვანით შეიქმნება განათლების დონეებს შორის კავშირები, დონიდან დონეზე გადასვლის მოქნილი მექანიზმები. კანონმა უნდა შექმნას საფუძველი კრედიტების დაგროვებისა და ტრანსფერის სისტემის ასამოქმედებლად, რაც კიდევ უფრო მეტად შეუწყობს ხელს სფეროს მოქნილობასა და მიმზიდველობას.

კვალიფიკაციების ახალი ჩარჩოს შესაბამისად საქართველოში იარსებებს განათლების შემდეგი დონეები და კვალიფიკაციები:

დონე	კვალიფიკაცია
1	საკვანძო უნარების სერტიფიკატი სახელმწიფო ენაში მომზადების სერტიფიკატი
2	საბაზო ზოგადი განათლების ატესტატი სახელმწიფო ენაში მომზადების სერტიფიკატი საკვანძო უნარების სერტიფიკატი პროფესიული მომზადების/გადამზადების სერტიფიკატი
3	საბაზო პროფესიული განათლების დიპლომი პროფესიული მომზადების/გადამზადების სერტიფიკატი

<sup>1</sup> კვალიფიკაციების ჩარჩოები (საერთაშორისო და ეროვნული ჩარჩოების შედარებითი ანალიზი), 2014.

	საკვანძო უნარების სერტიფიკატი (მაგ. სახელმწიფო ენაში მომზადების სერტიფიკატი)
4	სრული ზოგადი განათლების ატესტატი საშუალო პროფესიული განათლების დიპლომი პროფესიული მომზადების/გადამზადების სერტიფიკატი საკვანძო უნარების სერტიფიკატი (მაგ. სახელმწიფო ენაში მომზადების სერტიფიკატი)
5	უმაღლესი პროფესიული განათლების დიპლომი/ასოცირებული ხარისხი პროფესიული მომზადების/გადამზადების სერტიფიკატი
6	მასწავლებლის მომზადების სერტიფიკატი ბაკალავრი
7	მაგისტრი დიპლომირებული მედიკოსი (ერთსაფეხურიანი პროგრამა) სტომატოლოგიის მაგისტრი (ერთსაფეხურიანი პროგრამა) განათლების მაგისტრი (ინტეგრირებული საბაკალავრო -სამაგისტრო პროგრამა) ვეტერინარიის მაგისტრი (ინტეგრირებული სამაგისტრო პროგრამა) ვეტერინარიის მომზადების სერტიფიკატი
8	დოქტორი

წარმოდგენილი ხედვის თანახმად პროფესიული კვალიფიკაციები განთავსდება კვალიფიკაციების ჩარჩოს მესამე, მეოთხე და მეხუთე დონეებზე, ხოლო მომზადება-გადამზადების პროგრამები (სასერტიფიკატო კურსები) - მეორედან მეხუთე დონის ჩათვლით.

აღსანიშნავია, რომ ახალი მიდგომით, კვალიფიკაციის ჩარჩოს მეხუთე დონეზე, გარდა უმაღლესი პროფესიული განათლებისა, იარსებებს ბაკალავრიატის მოკლე ციკლის პროგრამები, რომლის განხორციელების უფლებაც ექნებათ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და კოლეჯებს.

შესაბამისი დონის საგანმანათლებლო პროგრამების დასრულების შემდეგ გაიცემა დიპლომი (კვალიფიკაციის მინიჭების შემთხვევაში), ან სერტიფიკატი (პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის, ან ცალკეული მოდულის ათვისების შემთხვევაში), მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის საფუძველზე პირს მიენიჭება ასოცირებული ხარისხი.

2007 წელს „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედებიდან დღემდე, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებიდან ამოღებულია ზოგადსაგანმანათლებლო კომპონენტი და პირს, რომელიც საბაზო განათლების მიღების შემდეგ ჩაირიცხა პროფესიულ საგანმანათლებლო

დაწესებულებაში, უმაღლესი განათლების საფეხურზე სწავლის გასაგრძელებლად გზა ეკეტება. სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი ატესტატის მისაღებად ერთადერთი გზაა სკოლაში დაბრუნება (რაც პრაქტიკულად არ ხდება) ან ექსტერნის წესით გამოცდების ჩაბარება (რაც ასევე დიდი ბარიერია განათლების სისტემის მიღმა მყოფი პირებისათვის). პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლების ჩამორთმევამ მოკლევადიან პერსპექტივაში რეალურად იქონია ანტიკორუფციული ეფექტი, თუმცა გრძელვადიან პერსპექტივაში წარმოქნა ე.წ. „საგანმანათლებლო ჩიხი“, რომლის დაძლევაც დღეს განათლების პოლიტიკის უმთავრესი ამოცანაა. ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად კანონპროექტი ითვალისწინებს პროფესიული განათლების ფარგლებში სრული ზოგადი განათლების დაუფლების შესაძლებლობას (საშუალო პროფესიული განათლების ფარგლებში). ამ შესაძლებლობის შექმნა მნიშვნელოვან რეფორმას მოითხოვს არამხოლოდ პროფესიული, არამედ ზოგადი განათლების სფეროშიც, რაც გარდაუვალი აუცილებლობაა განათლების სისტემაში არსებული „ჩიხების“ აღმოსაფხვრელად.

კანონპროექტის თანახმად, კოლეჯებს უფლება მიეცემათ განახორციელონ სახელმწიფო ენის შემსწავლელი პროგრამები (როგორც მოდული - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, ან დამოუკიდებელი პროგრამის სახით).

კანონის მოქმედი რედაქციის თანახმად, პროფესიული სტანდარტი არის დოკუმენტი, რომლითაც განისაზღვრება შესაბამისი პროფესიული განათლების საფეხურები, მათი მინიმალური მოცულობა კრედიტებში და თითოეული საფეხურისათვის სავალდებულო ცოდნა, უნარები და ღირებულებები, ასევე დგინდება პროფესიის სპეციფიკიდან გამომდინარე დამატებითი მოთხოვნები. რეალურად კი, პროფესიულ განათლებაში (ევროპულ სისტემებში) სტანდარტი განსაზღვრავს პრაქტიკული სამუშაოს შესრულებისთვის საჭირო ინდივიდუალურ კომპეტენციას. სტანდარტი მიუთითებს, რა სახის პრაქტიკულ მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს კურსდამთავრებული სამუშაოს კომპეტენტურად შესასრულებლად. პროფესიული სტანდარტი აღწერს: რა უნდა შესრულდეს; როგორ უნდა შესრულდეს; რა გარემოებებში უნდა შესრულდეს სამუშაო. პროფესიული სტანდარტი გამოიყენება, როგორც პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შექმნის საფუძველი, მაგრამ თავის თავში არ აერთიანებს, არ მოიცავს საგანმანათლებლო პროგრამის ელემენტებს.

ზემოაღნიშნული მიდგომიდან გამომდინარე, კანონპროექტი ითვალისწინებს პროფესიის სტანდარტისა და პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის ცნებების ერთმანეთისგან გამიჯვნას. კერძოდ პროფესიის სტანდარტი განიმარტება როგორც კონკრეტულ პროფესიასთან დაკავშირებული ამოცანებისა და მოვალეობების ერთობლიობა, რომელიც შესაძლებელია მოიცავდეს პროფესიასთან დაკავშირებულ მოთხოვნებს. ხოლო, პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტი განიმარტება როგორც დოკუმენტი, რომლითაც განისაზღვრება მისანიჭებელი კვალიფიკაცია/კვალიფიკაციები, შესაბამისი კვალიფიკაციის/კვალიფიკაციების მისანიჭებლად საჭირო კრედიტების მოცულობა, მისაღწევი სწავლის შედეგები, იმ მოდულების ერთობლიობა, რომელთა სწავლის შედეგების მიღწევა აუცილებელია კვალიფიკაციის/კვალიფიკაციების მისანიჭებლად, შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაზე/პროგრამებზე დაშვების და პროგრამის/პროგრამების განხორციელების წინაპირობები, აგრეთვე დასაქმების სფეროები და საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების შემუშავებასთან და განხორციელებასთან დაკავშირებული მოთხოვნები (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

პროფესიული სტანდარტები 2010 წლიდან გაჩნდა საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში და მათი მომზადების (დამსაქმებლების მონაწილეობით) და დამტკიცების უფლებამოსილება მოქმედი კანონით მხოლოდ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს გააჩნია. აღნიშნული მიდგომა ერთგვარ შეუსაბამობაშია ევროპულ/საერთაშორისო პრაქტიკასთან, რადგან პროფესიის სტანდარტების შექმნა-განვითარების კომპეტენცია არაერთ ქვეყანაში პროფესიული ასოციაციებს, სავაჭრო პალატებსა თუ დამსაქმებელთა გაერთიანებებს ეკუთვნით. საქართველოში შესაძლოა მოცემულ ეტაპზე არ არსებობდეს იმის მზაობა, რომ ამ ტიპის ორგანიზაციებმა აიღონ პასუხისმგებლობა პროფესიის სტანდარტების შექმნაზე, თუმცა კანონმა ხისტად არ უნდა განსაზღვროს აღნიშნული საკითხის განათლების სივრცეში მოქცევის მიდგომა, არამედ უნდა დატოვოს შესაძლებლობა იმისათვის,

რომ პროფესიის სტანდარტების განვითარება ეტაპობრივად გავიდეს საგანმანათლებლო სივრცის ფარგლებიდან და დასაქმების სფეროს კომპეტენციად იქცეს. აღნიშნული მიდგომიდან გამომდინარე, კანონპროექტით შემოთავაზებულია პროფესიის სტანდარტის/სტანდარტების შემუშავებისა და დამტკიცების წესის განსაზღვრა საქართველოს მთავრობის მიერ, რომელიც ასახავს ამ მიმართულებით კერძო სექტორთან შეთანხმებულ გადაწყვეტილებებს.

თანამედროვე ევროპული მიდგომა კომპეტენციებზე დაფუძნებული პროფესიული განათლების სისტემის ჩამოყალიბებას ისახავს მიზნად, რაც ტრადიციული მიდგომისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდება. კომპეტენციებზე დაფუძნებული განათლება განსაზღვრავს კურსდამთავრებულისთვის საჭირო ცოდნის და უნარების ერთობლიობას და სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს არსებობის აუცილებლობას, რაც შედეგობრივად უზრუნველყოფს დასაქმების ბაზრისთვის საჭირო პროფესიული სტანდარტების დაკმაყოფილებას. კომპეტენციებზე დაფუძნებული პროფესიული განათლების სისტემაში სტანდარტი ფიქსირებულია, ხოლო სტანდარტის მისაღწევად განსაზღვრული დროის მონაკვეთი - ცვლადი. სტანდარტის დაკმაყოფილება ყველა სტუდენტისათვის სავალდებულოა, თუმცა კვალიფიკაციის მისაღებად განსაზღვრული დროის მონაკვეთი თითოეულ სტუდენტთან მიმართებაში განსხვავებულია. კომპეტენციებზე დაფუძნებული პროფესიული განათლება, სტუდენტის ინდივიდუალური საჭიროებების, შესაძლებლობების და გამოცდილების გათვალისწინებით, შესაძლებლობას აძლევს საჭირო ვადებში ცოდნას და უნარებს დაეუფლოს. ახალი სისტემის ფარგლებში ეფექტური სასწავლო გარემო შეიქმნება ყველა ტიპის საჭიროების მქონე სტუდენტის სწავლებისათვის. კანონპროექტში მოცემულა ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ცნება, რომელიც გულისხმობს შესაბამისი პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად პროფესიული სტუდენტის ან მსმენელის (მათ შორის, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების ან/და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის) საჭიროებაზე მორგებულ სასწავლო გეგმას, რომელიც ეფუძნება შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამას და პროგრამის სხვა ელემენტებთან ერთად აღწერს სწავლის შედეგების მიღწევის ინდივიდუალურ გზებს.

ზოგადად, კანონპროექტი ეფუძნება ინკლუზიურობის პრინციპს და ქმნის მყარ საფუძველს ინკლუზიური პროფესიული განათლების განხორციელებისთვის. ინკლუზიური პროფესიული განათლება კანონპროექტით განმარტებულია, როგორც თანაბრად ხელმისაწვდომი საგანმანათლებლო პროცესი, რომლის ფარგლებშიც უზრუნველყოფილია ყველა პროფესიული სტუდენტის და მსმენელის განათლება ინდივიდუალური საგანმანათლებლო საჭიროების და შესაძლებლობის გათვალისწინებით. კანონპროექტის თანახმად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ დაწესებულებას ევალება შექმნას პირობები ინკლუზიური პროფესიული განათლებისთვის; საჭიროების შემთხვევაში, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის და მსმენელებისათვის შეიმუშავოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომლის შესაბამისადაც განხორციელდება პროფესიული სტუდენტის და მსმენელის სწავლება, სოციალური ადაპტაცია და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ინტეგრაცია. ამასთან, საქართველოს განათლებისა და მეცნიერებების ვალდებულებების ნაწილში აისახა პირის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების იდენტიფიკაციისა და ინკლუზიური პროფესიული განათლების განხორციელების წესის შექმნა. უნდა აღინიშნოს კანონპროექტის ის გარანტიები, რომლებიც იქმნება სმენისა და მხედველობის დარღვევის მქონე პირებისათვის. კერძოდ, კანონპროექტის თანახმად, დაწესებულებებში სადაც სწავლობენ სმენის დარღვევის მქონე პროფესიული სტუდენტები და მსმენელები, საჭიროების შემთხვევაში გამოიყენება ქართული ჟესტური ენა; ხოლო მხედველობის დარღვევის მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის გამოიყენება ბრაილის სისტემა.

კანონპროექტის თანახმად მთავრობას ენიჭება უფლებამოსილება დაადგინოს სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების, შემუშავებისა და განხორციელების წესი და პირობები.

ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ 2016 წლიდან სხვადასხვა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებებისა და საწარმოების მონაწილეობით დაიწყო



სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების მიდგომით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება. განხორციელების პროცესში გამოვლინდა საკანონმდებლო დონეზე მთელი რიგი საკითხების მოწესრიგების აუცილებლობა. ამდენად, აღნიშნული კანონპროექტით მთავრობის ერთ-ერთ უფლებამოსილებად განისაზღვრა იმ წესების დამტკიცება, რაც უკავშირდება სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებას.

სამუშაოზე დაფუძნებული სწავლება ხასიათდება გარკვეული თავისებურებით, კერძოდ, საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად პროგრამის განხორციელების პროცესში ჩართულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად დაფუძნებული იურიდიული პირი, რომელმაც მთავრობის მიერ დადგენილი წესის თანახმად უნდა მოიპოვოს პროგრამის განხორციელების უფლება. აღნიშნული წესით განისაზღვრება ის კრიტერიუმები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს ის იურიდიული პირი, რომელსაც სურს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლებისა და სასწავლო საწარმოს სტატუსის მოპოვება, ასევე განისაზღვრება უფლების მინიჭებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიმღები ორგანო, მისი ფუნქციები, გადაწყვეტილების მოქმედების ვადა, სასწავლო საწარმოს მიერ წარმოსადგენი დოკუმენტები და სხვა.

ერთ-ერთი დიდი ცვლილება, რომელსაც კანონპროექტი ითვალისწინებს არის ფორმალური განათლების ფარგლებში პროფესიული მომზადებისა და გადამზადების სისტემის შექმნა. ამისათვის გამოყენებული იქნება არა მხოლოდ საგანმანათლებლო დაწესებულებების შესაძლებლობები, არამედ არაფორმალური განათლების სექტორში არსებული მდიდარი გამოცდილებაც. განსაკუთრებული აქცენტი კეთდება კერძო კომპანიების ტრენინგ-ცენტრებზე, რომლებსაც კანონპროექტი სთავაზობს პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამების ფორმალიზებას (რაც ნებაყოფლობითი უნდა იყოს) და ამის საფუძველზე, სახელმწიფოს მიერ აღიარებული სერტიფიკატის გაცემის უფლების მინიჭებას. ამისათვის საქართველოს მთავრობა დაამტკიცებს პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მოპოვების წესსა და პირობებს.

„პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად (12<sup>1</sup> მუხლი) პროფესიული განათლების მასწავლებელი შეიძლება იყოს უმაღლესი განათლების ან პროფესიული განათლების IV ან V საფეხურის კვალიფიკაციის მფლობელი ან პირი, რომელსაც აქვს შესაბამისი პროფესიით მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება. შესაბამისი პროფესიული სტანდარტით შეიძლება დადგინდეს დამატებითი მოთხოვნები. პროფესიული განათლების ხარისხის განვითარების, პროფესიული განათლების მასწავლებლის მომზადებისა და შემდგომი პროფესიული განვითარების მიზნით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს უფლებამოსილების ნაწილში აისახება პროფესიული განათლების მასწავლებლის მომზადებისა და პროფესიული განვითარების წესის დამტკიცება, რომელიც დაარეგულირებს პროფესიული განათლების მასწავლებლის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, ტიპებს, პროფესიაში შესვლისა და შემდგომი პროფესიული განვითარების ღონისძიებებს.

კანონის მოქმედი რედაქციის თანახმად, პროფესიული განათლების მიღების უფლების მოპოვება პროფესიულ ტესტირებაზე გადის (პირს, ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის დამლევის, პროფესიული ტესტირების ჩაბარებისა და პროფესიის სპეციფიკიდან გამომდინარე, პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებული დამატებითი მოთხოვნების დაკმაყოფილების საფუძველზე, უფლება აქვს, მიიღოს პროფესიული განათლება პროფესიული საქმიანობისათვის აუცილებელი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების შესაძენად). კანონი განსაზღვრავს, რომ პროფესიული ტესტირება არის პროცედურა, რომელიც ადგენს პირის მზადყოფნას სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ათვისებისათვის. ამდენად, პროფესიული ტესტირება წარმოადგენს პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში სტუდენტთა ჩარიცხვის ერთადერთ მექანიზმს, თუმცა მისი თავსებადობა/რელევანტურობა ახალ მიდგომასთან, რომლის მიხედვითაც პროფესიული განათლება არ გულისხმობს მხოლოდ კვალიფიკაციის დამადასტურებელი პროგრამის განხორციელებას, კითხვის ნიშნის ქვეშ დგება. კანონმა არ უნდა განსაზღვროს კონკრეტული მექანიზმი (ტესტირება, გასაუბრება და ა.შ.), რომლის საფუძველზეც პირი პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხება, ვინაიდან მიმდინარე რეფორმის

ტენდენციებიდან გამომდინარე, პერიოდულად გაანალიზდება განხორციელებული პოლიტიკის შედეგები, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს კონკრეტული მექანიზმების დახვეწა ან/და შეცვლა, რაც თავის მხრივ, საკანონმდებლო ცვლილებებთან იქნება დაკავშირებული. ამდენად, კანონის საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ უნდა უზრუნველყოს პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის წესის შემუშავება და დამტკიცება. აღნიშნული წესი გაითვალისწინებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების თავისებურებებს და დაეფუძნება ობიექტურობის, სამართლიანობისა და ხელმისაწვდომობის პრინციპებს.

იგივე მიდგომით ყალიბდება კანონში პროფესიული განათლების დაფინანსების საკითხიც. კერძოდ, საქართველოს მთავრობის უფლებამოსილების ნაწილში აისახება პროფესიული განათლებისა და სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამების დაფინანსების წესისა და პირობების დამტკიცება (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარდგენით).

კანონპროექტი განსაზღვრავს პროფესიულ განათლებაში ერთობლივი და გაცვლითი პროგრამების განხორციელების შესაძლებლობას. ამით გზა გაეხსნება სხვადასხვა საგანმანათლებლო დაწესებულებების მხრიდან ერთობლივი პროგრამების განხორციელებას. ამასთან შესაძლებელი გახდება საზღვარგარეთ გაცვლითი პროგრამების ორგანიზება.

კანონპროექტის თანახმად, „საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცემა უფლება, მოიზიდოს საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა ფინანსური სახსრები, მათ შორის, მიიღოს შემოსავალი ისეთი ეკონომიკური საქმიანობიდან, რომელიც არ არის სახიფათო ადამიანის ჯანმრთელობისათვის და უარყოფითად არ მოქმედებს სწავლების ხარისხზე. მოზიდული სახსრები საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მოხმარდება მხოლოდ დაწესებულების მიზნების განხორციელებას და ფუნქციების შესრულებას. მნიშვნელოვანია, რომ ამ უფლების რეალიზების მიზნით, საქართველოს მთავრობის უფლებამოსილების ნაწილში აისახოს შესაბამისი კანონქვემდებარე აქტის გამოცემის უფლებამოსილება, რომელიც მოიცავს მკაფიო ინსტრუქციას სასწავლო პროცესში წარმოებული პროდუქციის რეალიზების, ასევე დაწესებულების მიერ ეკონომიკური საქმიანობის წარმართვისა და მიღებული შემოსავლების განკარგვის შესახებ.

პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებს (წესდებით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად) მიეცემათ სამეწარმეო ან არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დაფუძნების უფლება, რომელშიც შესაბამისი დაწესებულება უნდა ფლობდეს არანაკლებ 50%-იან წილს. ამ უფლებამოსილების განხორციელება უნდა მოხდეს სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელ ორგანოსთან შეთანხმებით. შეთანხმების წესი და პირობები კი უნდა განისაზღვროს საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

## **ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება**

### **ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:**

წლიური სახელმწიფო ბიუჯეტით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსათვის გამოყოფილი ასიგნებები. ასევე, „პროფესიული განათლების, მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამებისა და სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამების დაფინანსებას ახორციელებენ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების განათლების სფეროში უფლებამოსილი სამინისტროები, მუნიციპალიტეტები საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. პროფესიული განათლების, მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამებისა და სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამების დაფინანსება ასევე შეიძლება განახორციელონ სხვა უწყებებმა და ორგანიზაციებმა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.“

### **ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:**

კანონპროექტის მიღება გავლენას იქონიებს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე, გადასახადის გადამხდელთა საშემოსავლო გადასახადის გადახდის მიზნით, რადგან კანონპროექტის ამოქმედებით შეიქმნება პროფესიული განათლების ახალი სისტემა, რომელიც ხელს შეუწყობს პროფესიული განათლების ხარისხის ზრდას, სფეროს განვითარებას კერძო სექტორის/ბიზნესის აქტიური ჩართულობით, მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლას და შრომის ბაზრის მოთხოვნების დაკმაყოფილებას მაღალკვალიფიციური სამუშაო ძალით. სახელმწიფო პოლიტიკის შესაბამისად, საქართველოს მოქალაქეებისთვის პროფესიული განათლება სრულად დაფინანსებულია სახელმწიფოს მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ საჯარო დაწესებულებებში. სწავლის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულები ფლობენ თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნის შესაბამის უნარ-ჩვევებს, რომლებიც დადასტურებულია სახელმწიფო პროფესიული დიპლომით. საშუალოდ წელიწადში კურსდამთავრებულთა რაოდენობაა 6000, ხოლო დასაქმების მაჩვენებელი შეადგენს 56%-ს. ვინაიდან კანონპროექტის მიღებით გაიზრდება პროფესიულ განათლებაში ჩართული მოსახლეობის რაოდენობა და ასევე, სხვადასხვა მექანიზმების გამოყენებით ხელშეწყობილი იქნება მათი დასაქმების პოლიტიკა, მოსალოდნელია, რომ გაიზრდება დასაქმების მაჩვენებელი.

### **ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:**

ახალი შესაძლებლობებით, რომელიც უკავშირდება განათლების საფეხურებზე გადასვლის მოქნილობას, არაფორმალური განათლების აღიარებას, ინკლუზიური პროფესიული განათლების განვითარებას, დამსაქმებლებთან ერთობლივად განხორციელებულ პროგრამებს, მომზადება-გადამზადების კურსებს, კრედიტების ტრანსფერის სისტემას, მოსალოდნელია, რომ პროფესიული განათლების ბენეფიციართა რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზრდება, როგორც სახელმწიფო ისე კერძო სასწავლებლებში. 2017 წლის პროფესიული განათლების ვაუჩერული დაფინანსება 11 100 სტუდენტზე შეადგენდა 14.1 მლნ ლარს. (საშ. ხარჯი 1 სტუდენტზე წლიურად - 1270 ლარი), ხოლო კურსდამთავრებულთა რაოდენობა აღემატება 6 000. 2016 წლის დასაქმების მაჩვენებელი შეადგენს 56%.

პროფესიული განათლების მიღების პარალელურად სრული ზოგადი განათლების დაუფლების შესაძლებლობა, თანხვედრაშია მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის პრინციპების რეალიზებასთან. ამ შესაძლებლობის შექმნა გამოიწვევს სტუდენტების (9 კლასის განათლებით) რაოდენობის ზრდას, რომელთაც ასევე სურთ სწავლა განაგრძონ უმაღლესი განათლების საფეხურზე. აღნიშნული შესაძლებლობის შექმნა უკავშირდება პროფესიულ განათლებაზე გამოყოფილი ხარჯების გაზრდას თუმცა ხარჯების საერთო მოცულობის გაზრდა არ არის ნავარაუდები, ვინაიდან ზოგად განათლებაზე გათვალისწინებული ხარჯი ამ შემთხვევაში გადმოინაცვლებს პროფესიულ განათლებაზე. 2016 წლის კვლევის შედეგად 6 463 (65%) არსებულ სტუდენტს სურს მიიღოს სრული ზოგადი განათლება პროფესიული განათლების პარალელურად. დამატებით, საშუალოდ, საბაზო საფეხურის მქონე 3000 მოსწავლე ტოვებს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას, რომლებიც ზემოაღნიშნული შესაძლებლობის შექმნის შემდეგ, მოიაზრებიან პროფესიული განათლების ბენეფიციარებად. სტუდენტის სწავლის ღირებულება ინტეგრირებულ პროგრამაზე შეადგენს საშუალოდ 2400 ლარს და შესაბამისად საერთო ხარჯი დამოკიდებულია სტუდენტთა რაოდენობაზე.

ფორმალურ განათლებაში პროფესიული ორიენტაციის, კონსულტირებისა და კარიერის დაგეგმვის სისტემის ჩამოყალიბება. აღნიშნული სერვისის განვითარება და მისი ინსტიტუციონალიზაცია ხელს შეუწყობს პროფესიული განათლების პოპულარიზაციას და ზოგადად მოსწავლეებისა და ზრდასრულების მხრიდან გაცნობიერებული პროფესიული არჩევანის გაკეთებას. სამიზნე ჯგუფების მიხედვით განსხვავებული სერვისების შეთავაზება როგორც სკოლებში, ასევე პროფესიულ სასწავლებლებში დაკავშირებულია ხარჯებთან. ასევე, საჯარო სკოლების მიერ პროფესიული განათლების კურსების შეთავაზება დაკავშირებული იქნება სკოლების ინფრასტრუქტურისა და ადამიანური რესურსების განვითარებასთან. 2017 წლის მეორე ნახევრიდან განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინიციატივით, პროფესიული პროგრამების

განმახორციელებელი საჯარო და კერძო საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ განხორციელდა მიზნობრივი პროგრამა „სკოლის მოსაწავლეებში შრომითი უნარების განვითარება“ (ჯამური ბიუჯეტი - 1.4 მლნ ლარი). პროგრამის ფარგლებში პროფესიული კურსი გაიარა 138 სკოლის მე-7 - მე-9 კლასის 3300 მოსწავლემ. აღნიშნულ პროგრამას მიმდინარე წელსაც ახორციელებს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, წლიური ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში, რომლის მოცულობაც განისაზღვრება 2.0 მლნ ლარის ოდენობით.

პროფესიული სასწავლებლების მიერ სამეწარმეო საქმიანობის განხორციელება დაკავშირებულია სახელმწიფოს მიერ კაპიტალური ხარჯების დაზოგვის საკითხთან, ვინაიდან სწავლების პროცესში შექმნილი მომსახურებისა და პროდუქტის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი მოხმარდება ისევ დაწესებულების განვითარებას;

პროფესიული განათლების მრავალმხრივი შესაძლებლობების შექმნა გამოიწვევს განათლების მიღების მსურველთა რაოდენობის მატებას, რომლის უზრუნველყოფაც შესაძლებელია დამატებით სასწავლებლების შექმნით განსაკუთრებით რეგიონებში. ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფა კი მოითხოვს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებას პრაქტიკული უნარების გამომუშავებისთვის. ამჟამად პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს ახორციელებს 35 საჯარო დაწესებულება. ბოლო 4 წლის განმავლობაში არსებულ ქსელს დაემატა 10 ახალი ლოკაცია. ახალ მუნიციპალიტეტებში სასწავლო კორპუსისა და ძირითადი სახელოსნოების განვითარების ხარჯი შეადგენს საშუალოდ 4 მლნ ლარს (200 სტუდენტი). საჯარო-კერძო პარტნიორობის ფარგლებში განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების ხარჯი, სახელმწიფო ბიუჯეტისთვის შეადგენს საერთო ხარჯის დაახლოებით 50%.

მომზადება-გადამზადების პროგრამების დაფინანსება განხორციელდება სახელმწიფო პოლიტიკის შესაბამისად. სავარაუდო ღირებულება მსმენელზე შეადგენს საშუალოდ 800 ლარს და საერთო ხარჯი დამოკიდებულია მსმენელთა რაოდენობაზე.

არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარებისათვის საჭირო პროცესების ადმინისტრირება და ადამიანური რესურსების უზრუნველყოფა დაკავშირებულია გარკვეულ ხარჯებთან. საწყის ეტაპზე, აღნიშნული განხორციელება ბენეფიციართა თვითდაფინანსებით, ამასთან სახელმწიფო პოლიტიკისა და პრიორიტეტების შესაბამისად შესაძლებელია გარკვეული პროფესიების დაფინანსება სახელმწიფოს მიერ. კანონპროექტის მიღება გავლენას მოახდენს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტზე, კერძოდ კანონპროექტით განსაზღვრული რიგი ღონისძიებების დაფინანსება ხორციელდება/განხორციელდება „საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსათვის გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში.

#### **ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:**

კანონპროექტის მიღება არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.

#### **ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობების, რომელთა მიმართ ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:**

სახელმწიფო პოლიტიკის შესაბამისად, საქართველოს მოქალაქეებისთვის პროფესიული განათლება სრულად დაფინანსებულია სახელმწიფოს მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ საჯარო დაწესებულებებში. შესაბამისად, აღნიშნული წარმოადგენს პროფესიული განათლების ბენეფიციარებისათვის ფინანსურ შეღავათს. ამასთან საგულისხმოა, რომ სწავლის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულები ფლობენ თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნის შესაბამის უნარ-ჩვევებს, რომლებიც დადასტურებულია სახელმწიფო პროფესიული

დიპლომით. საშუალოდ წელიწადში კურსდამთავრებულთა რაოდენობა აღემატება 6000, ხოლო დასაქმების მაჩვენებელი შეადგენს 56%.

კანონპროექტის მიღება ასევე გავლენას იქონიებს იმ იურიდიულ პირებზე, რომელთაც პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მოპოვების სურვილი ექნებათ. პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მოპოვება, რომლის მექანიზმებსაც განსაზღვრავს საქართველოს მთავრობა, დაკავშირებული იქნება ასეთი პროგრამის აკრედიტაციის გარკვეულ ფორმასთან. აკრედიტაცია, როგორც ხარისხის უზრუნველყოფის ერთ-ერთი მექანიზმი, გულისხმობს გარკვეულ სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმებას, რაც დაკავშირებული იქნება უფლების მომპოვებლის მხრიდან მომსახურების მიღების სანაცვლოდ, დადგენილი საფასურის გადახდას, რომლის ოდენობაც განისაზღვრება მექანიზმების შემუშავების შემდეგ. ამჟამად, კი საკვალიფიკაციო პროგრამების ავტორიზაციის ღირებულება შეადგენს 3 000.0 ლარს, თუმცა მოსალოდნელია რომ მომზადება-გადამზადების პროგრამების აკრედიტაციის საფასური გასაწევი მომსახურების მასშტაბიდან გამომდინარე განისაზღვროს ნაკლები ოდენობით.

მომზადება-გადამზადების პროგრამების განვითარება ზრდასრულთა განათლების სისტემის ჩამოყალიბება შესაძლებლობას მიცემს არასაგანმანათლებლო დაწესებულებებს, რომლებსაც ამჟამად არ აქვთ მინიჭებული უფლება განახორციელონ ფორმალური საგანმანათლებლო პროგრამები, მოითხოვს ხარისხის უზრუნველყოფის ახალი სისტემის შექმნა და ამ უფლების მინიჭებისათვის პროცედურების განხორციელება, რაც დაკავშირებულია როგორც ადამიანური, ასევე ფინანსური რესურსის უზრუნველყოფასთან სახელმწიფოს მხრიდან. დამსაქმებლების სატრენინგო ცენტრების შესაძლებლობა დღეს ქვეყანაში ძალიან მაღალია და მათი რესურსის გამოყენება ხარისხიანი, მომზადება-გადამზადების პროგრამების განხორციელებისთვის, რომლებიც სრულდება სახელმწიფოს მიერ აღიარებული სერტიფიკატის გაცემით, მიზანშეწონილია დასაქმების შესაძლებლობების გაზრდისთვის, განსაკუთრებით ზრდასრული მოსახლეობისთვის. შესაბამისად გრძელვადიან პერიოდში მოსალოდნელია რომ სარგებელი მნიშვნელოვნად გადააჭარბებს გაწეულ ხარჯებს.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ახალი მოდელის დანერგვით მოწესრიგდება პროფესიული განათლების მასწავლებლების პროფესიაში შესვლა და მისი კარიერული განვითარება. შრომის დიფერენცირებული ანაზღაურების სისტემის შემუშავებით და დანერგვით, შეიქმნება პრაქტიკოსი სპეციალისტების მოზიდვის შესაძლებლობა. მასწავლებელთა პროფესიის რეგულირება და წახალისება გამოიწვევს სწავლების ხარისხის გაზრდას, და ასევე მასწავლებელთა შემოსავლის ზრდას.

ერთობლივი და გაცვლითი პროგრამების ფუნქციონირებით შესაძლებელი ხდება მნიშვნელოვანი სარგებლის მიღება პროფესიული განათლების ინტერნაციონალიზაციისა და შრომითი მობილობის კონტექსტში.

უმაღლესი პროფესიული განათლება/ბაკალავრიატის მოკლე ციკლის დანერგვა - ნათლად განსაზღვრავს უმაღლესი პროფესიული განათლების/ბაკალავრიატის მოკლე ციკლის ადგილს საკვალიფიკაციო ჩარჩოს დონეზე; უზრუნველყოფს პროფესიული განათლების კავშირს უმაღლეს განათლებასთან და ხელს შეუწყობს პროფესიული განათლების პოპულარიზაციას. აღნიშნული შესაძლებლობის შექმნა უზრუნველყოფს მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის პრინციპს. ხარჯების მცირედი გაზრდა მოსალოდნელია მოკლე ციკლის პროგრამების განხორციელებისას თუმცა გაცილებით მაღალია მისაღები სარგებელი.

ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო - ახალი ჩარჩოს დამტკიცება სისტემას გახდის უფრო გამჭვირვალეს და თავსებადს ევროპულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან. შესაბამისად მოსალოდნელი დადებითი შედეგები ეროვნული კვალიფიკაციების საერთაშორისოდ აღიარება მნიშვნელოვნად აღემატება სახელმწიფოს მხრიდან გასაწევ ხარჯებს.

ახალი რეგულაციების ამოქმედება გამოიწვევს გარკვეულ ცვლილებას ამჟამინდელ ფუნქცია-მოვალეობებში, რომელიც ხორციელდება ინსტიტუციების მიერ. შესაბამისად მოსალოდნელია მანდატების გადალაგება, განსხვავებული ინსტიტუციური მოწყობის მოდელის დანერგვა და

დამატებითი ადამიანური რესურსების ჩართვა. გასათვალისწინებელია, ასევე ის სარგებელი, რომელიც მიიღწევა სისტემის ეფექტური მართვით.

**ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობა და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:**

კანონპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადს, მოსაკრებელს ან სხვა სახის გადასახდელს.

**გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან**

**გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:**

კანონპროექტი ნაწილობრივ შესაბამისობაშია:

2004 წლის 15 დეკემბრის ევროპის პარლამენტისა და საბჭოს N2241/2004/EC გადაწყვეტილებასთან კვალიფიკაციებისა და კომპეტენციების გამჭვირვალობისთვის გაერთიანების ერთიანი ჩარჩოს შესახებ (Europass);

2006 წლის 18 დეკემბრის ევროპის პარლამენტისა და საბჭოს N2006/962/EEC რეკომენდაციასთან მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლის საკვანძო კომპეტენციების შესახებ;

2008 წლის 23 აპრილის ევროპის პარლამენტისა და საბჭოს N2008/C111/01 რეკომენდაცია მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლისთვის „კვალიფიკაციების ევროპული ჩარჩოს“ ჩამოყალიბების თაობაზე;

2009 წლის 18 ივნისის ევროპის პარლამენტისა და საბჭოს N2009/C155/02 რეკომენდაციასთან პროფესიული განათლებისა და ტრენინგისთვის (ECVET) „კრედიტების ევროპული სისტემის“ ჩამოყალიბების შესახებ;

2009 წლის 18 ივნისის ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2009/C155/01 რეკომენდაციასთან პროფესიული განათლებისა და ტრენინგისთვის ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ჩარჩოს ჩამოყალიბების შესახებ.

**გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:**

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს. ამასთან, კანონპროექტის მიღება ხელს შეუწყობს ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას (მუხლი 359 (გ) და დანართი XXXII).

**გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:**

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

**დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები.**

**და) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/ დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:**

2014 წელს, „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების მომზადების მიზნით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში შეიქმნა სამუშაო ჯგუფი შემდეგი ორგანიზაციების/სამინისტროს სტრუქტურული ერთეულების შემადგენლობით:

- პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტი;
- ეროვნული სასწავლო გეგმების დეპარტამენტი;
- სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტი;
- ზოგადი განათლების მართვისა და განვითარების დეპარტამენტი;

- ეკონომიკური დეპარტამენტი;
- სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი;
- სსიპ მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი;
- საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება;
- საქართველოს პროფესიული განათლებისა და კვალიფიციური კადრების მომზადების მუშაკთა და სტუდენტთა პროფესიული კავშირი;
- საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია;
- ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში;
- გაეროს განვითარების პროგრამა;
- ევროპის განათლების ფონდი;
- მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის საქართველოს მისია;
- პროფესიული განათლების ფონდი;
- საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაცია;
- საჯარო კოლეჯების წარმომადგენლები;
- საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომისა და დასაქმების პოლიტიკის დეპარტამენტი;
- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ეკონომიკური ანალიზისა და პოლიტიკის დეპარტამენტი.

ჯგუფმა გააანალიზა კანონი “პროფესიული განათლების შესახებ“, სისტემაში არსებული გამოწვევები, შეისწავლა საერთაშორისო პრაქტიკა და ჩამოაყალიბდა რეკომენდაცია ახალი კანონპროექტის მომზადების შესახებ. ჯგუფის მუშაობას კოორდინაციას უწევდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტი, რომელმაც მოამზადა ახალი კანონპროექტის ხედვა/კონცეფცია და გამართა კონსულტაციები საერთაშორისო ორგანიზაციებთან კანონპროექტის მომზადების პროცესში ტექნიკური დახმარების მიღების მიზნით. ამასთან, კანონპროექტის კონცეფცია განხილულ იქნა ეროვნული პროფესიული საბჭოს გაფართოებულ სხდომაზე, შემდეგი ორგანიზაციების მონაწილეობით:

- საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო;
- საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;
- საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო;
- საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო;
- საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია;
- საქართველოს ქალ-მეწარმეთა ასოციაცია;
- საქართველოს მცირე და საშუალო საწარმოთა ასოციაცია;
- საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება;
- საქართველოს პროფესიული კავშირების აჭარის რესპუბლიკური გაერთიანება;
- ასოციაცია „ანიკა“;
- ასოციაციების მართვის ცენტრი;
- საქართველოს პროფესიული განათლების ფონდი;
- ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში;
- საქართველოს ფერმერთა ასოციაცია;
- გაეროს განვითარების პროგრამა;
- ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველო.

კანონპროექტის პირველადი რედაქცია შეიქმნა გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით 2015 წელს, რის შემდეგაც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ დაიწყო აქტიური განხილვის პროცესი. 2 წლის განმავლობაში გაიმართა არაერთი სამუშაო შეხვედრა საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, სოციალურ პარტნიორებთან (ეროვნული პროფესიული საბჭოს შეხვედრისა თუ სამუშაო შეხვედრების/განხილვების სახით), საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, ბიზნეს-ორგანიზაციებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან; კანონპროექტის ტექსტი განთავსდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ვებგვერდზე, შეიქმნა ელექტრონული ფოსტის სპეციალური მისამართი, რომლის მეშვეობითაც სამინისტრო დოკუმენტთან დაკავშირებით იღებდა შენიშვნებს, წინადადებებსა და მოსაზრებებს. სამუშაო პროცესი მხარდაჭერილი იყო ევროკავშირის ტექნიკური დახმარების პროექტის, გაეროს განვითარების პროგრამის, შვეიცარიის განვითარების სააგენტოსა და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების მიერ. აქტიური განხილვების საფუძველზე დოკუმენტი რამდენჯერმე გადამუშავდა და დაინტერესებულ მხარეებთან აქტიური კონსულტაციების საფუძველზე, ჩამოყალიბდა საბოლოო რედაქციით. დოკუმენტის საბოლოო რედაქცია შეჯერდა დაინტერესებულ მხარეებთან სამუშაო შეხვედრების ფორმატში, რის შემდეგაც წარედგინა საქართველოს მთავრობას.

**დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:**

ასეთი არ არსებობს.

**ე) კანონპროექტის ავტორი:**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო.

**ვ) კანონპროექტის ინიციატორი:**

საქართველოს მთავრობა.